საბრძოლო იარაღი

ცულები

ისრისპირები

დაგრძელებული ყუნწი. დანარჩენები სხვადასხვა ზომისა და ფორმა-მოყვანილობის სამფრთიანი ყუნწიანი ისრისპირებია. სამფრთიანი ისრისპირები ფართოდაა გავრცელებული ადრეული შუა საუკუნეების მთელს კავკასიაში

აღმოჩენილი საბრძოლო იარაღები ახ. წ. VI საუკუნის შუა ხანებს მიეკუთვნება. მათი განმარხვის ზუსტი თარიღი 551 წელი უნდა იყოს.





 პეტრა-ციხისძირის
არქეოლოგიურ-არქიტექტურული
კომპლექსი

საბრძოლო იარაღები პეტრა-ციხისძირიდან

პეტრა-ციხისძირში აღმოჩენილი საბრძოლო იარაღები ინახება სსიპ „აჭარის მუზეუმის“ ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში

www.ajaraheritage.ge

info@ajaraheritage.ge

პეტრას ციხე–სიმაგრე/Petra Fortress

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო

CULTURAL HERITAGE PRESERVATION AGENCY OF AJARA

პეტრა–ციხისძირში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალებიდან დიდ ინტერესს რკინის მრავალრიცხოვანი არტეფაქტი იწვევს. მათი უმრავლესობა საბრძოლო იარაღია.

რკინის მუზარადი–დაზიანებულია. აკლია ზედა ნაწილი და ერთ ადგილას გახსნილია. კიდეზე შემოუყვება ბრინჯაოს სარტყელი, რომელზეც შემორჩენილია კოპები და რგოლები. რგოლებიდან მხოლოდ ერთია მთელი. დანარჩენები მუზარადის კიდეზეა მიჭეჭყილი. რგოლები მუზარადის - კისრის დამცავი ჯაჭვის ქსოვილის მისამაგრებელი უნდა ყოფილიყო. მუზარადის დიამეტრი 25 სმ-ია, შემორჩენილი სიმაღლე - 12 სმ. ნაკლულობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ მუზარადი მთლიანჭედილია და ამასთან არა აქვს სათვალე ჭრილები და საცხვირე.

ჯაჭვის პერანგი–ძლიერი ცეცხლის შედეგად თითქმის წიდადაა ქცეული და მოზრდილი გუნდების სახითა აღმოჩენილი. იგი რკინის პატარა რგოლებისგან შედგება და მისი დამზადება საკმაოდ რთული იყო.

ბეგთარის რკინის ფირფიტები აღმოჩნდა კოშკის აღმოსავლეთი კედლის ძირში, ცეცხლში დამწვარი მოზრდილი მასის სახით. კარგად შემორჩენილი ფირფიტებს აქვთ მრგვალი და მოგრძო ნახვრეტები. ისინი ერთმანეთთან ტყავის თასმებით უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, თუმცა მათი კვალი აღარაა შემორჩენილი.

საბრძოლო იარაღში რკინის ერთი სატევარი და სამი მახვილია. სატევარი მოკლეა (შემორჩენილი სიგრძე 13,5 სმ). აკლია ტარი, რომელიც ხის უნდა ყოფილიყო. მახვილებიდან ერთი ცალპირლესილია (სიგრძე 80,5 სმ) - ორი ორპირლესილი (პირველის სიგრძე 90,5 სმ-ია, მეორეს შემორჩენილი სიგრძე - 77 სმ). ციხისძირის მსგავსი ორპირლესილი მახვილები, არაერთია ცნობილი მთელს აღმოსავლეთში. განსაკუთრებით დამა-

სატევარი, მახვილი

შუბისპირები

ბეგთარის რკინის ფირფიტები

ჯაჭვის პერანგი

რკინის მუზარადი

ფარის უმბონები

ხასიათებელია ისინი ირანის ადრეული შუა საუკუნეების მატერიალური კულტურისათვის. მსგავსი ორპირლესილი მახვილები გვხვდება როგორც ისტორიული ლაზიკის ჩრდილო-დასავლეთი, ისე ცენტრალური რაიონებიდან. დროთა განმავლობაში ორპირლესილი მახვილებიდან განვითარებული ცალპირლესილი მახვილები ყველგან თანდათან გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ შეიარაღებაში. ციხისძირის მასალების მიხედვით ისე ჩანს, რომ VI ს-ის შუა ხანებისთვის ორივე ტიპის მახვილები ჯერ კიდევ თანაარსებობენ.

შუბისპირები – სხვადასხვა ტიპისაა. აღმოჩენილ შუბისპირებს (სულ 7 ცალი) მრავლად მოეპოვებათ პარალელები დასავლეთ საქართველოს განათხარი ძეგლებიდან. შუბისპირების რაოდენობის მიხედვით, კოშკის მცველების ოდენობა შვიდი მებრძოლით შეიძლება განისაზღვროს.

საბრძოლო ცულები – 6 ცალია აღმოჩენილი. მათში ოთხი ტიპი გამოიყოფა. VI ს-ში ცულები ფართო გავრცელებას პოულობს სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში. ცულებს აქტიურად იყენებდნენ ირანელი მებრძოლებიც. ამის დასტურია აგათია სქოლასტიკოსის ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ მიიტანეს იერიში 555 წელს ირანელებმა ფაზისში გამაგრებულ ბიზანტიელებზე. ირანელებს „ცულებით მიჰქონდათ იერიში კედელზე – კედელი ხომ ხისა იყო და ასე ადვილად შეიძლებოდა მისი დაჩეხა“ [გეორგიკა 1936:114. ასე, რომ საბრძოლო ცულები გავრცელებული ყოფილა იმდროინდელი როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში.

ისრისპირები – კოშკის სხვადასხვა ნაწილში გამოვლინდა რკინის 13 ისრისპირი. ერთ ისრისპირს აქვს ოთხკუთხაგანივკვეთიანი პირი და მნიშვნელოვნად